



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №39/23

2018 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

**შპს „ინტერ გაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების
შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-13 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე, მე-100, 103-ე, 115-ე, 116-ე, 118-ე და 177-ე მუხლების თანახმად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. შპს „ინტერ გაზის“ სახელზე გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. შპს „ინტერ გაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ადმინისტრაციული წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდეს ერთი თვით.
3. შპს „ინტერ გაზის“ სახელზე გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.
4. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, შპს „ინტერ გაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 30 ივნისი.

5. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის კომისიის ვებგვერდზე განთავსება.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.
8. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

